სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/198

ქ. თბილისი 22 ივლისი 2019

სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანის, პროფ. გ. არაბიძის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №01-05-02/15 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გამოცხადდეს აკადემიური კონკურსი სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის
   - საწარმოო ინოვაციების და ოპერაციათა მენეჯმენტის დეპარტამენტში ასისტენტის ერთ საშტატო ერთეულზე 400-საათიანი დატვირთვით, საგანთა ჯგუფი №134;
   - ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტში პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე 400-საათიანი დატვირთვით, საგანთა ჯგუფი №175;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**